



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლალიაშვილი იოსებ იაკობის ძე

ლალიაშვილი იოსებ იაკობის ძე (2. I. 1866, - დაახლ. 1913), ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოში. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი, შემდეგ ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში. გმობდა სემინარიაში გაბატონებულ მკაცრ რეჟიმს, მოსწავლეთა მორალურ და ფიზ. შეურაცხყოფას. მას შემდეგ, რაც სასწავლებლის ზედამხედველმა ხელნაწერი ჟურნ. „ყვავილი“ აღმოუჩინა, ლ. სასწავლებლიდან გარიცხეს და ყოფაქცევაში „4“ დაუნერეს, რაც მას სწავლის გაგრძელების უფლებას ართმევდა, სემინარიის რექტორმა ა. ჩუღეცკიმ და ეგზარქოსმა პავლემ მის თხოვნას სემინარიაში აღდგენის თაობაზე უარით უპასუხეს. განმეორებითი უარის შემდეგ, 1886, ლ-მა მოკლა სემინარიის რექტორი. ჩუღეცკის დაკრძალვაზე ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა მკვლელი და ის ერი, რ-მაც ლ. შვა. სამხ. სასამართლომ ლ-ს 20 წლით სახალინზე გადასახლება მიუსაჯა.

ა. ჩეხოვი თავის ნაწარმოებში „კუნძული სახალინი“ ლ-ს „ლაგიევად“ მოიხსენიებს. ბოგიერთი ცნობით, ლ. კატორღიდან თავდაპირველად იაპონიაში გაიქცა, შემდეგ კი ამერიკაში გადავიდა.

ლიტ.: რექტორ ჩუღეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი, ტფ., 1932.
